ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6414005

ნომერი: AR1960359

თარიღი : 11.04.2023

გაცემის თარიღი : 12.04.2023

გაცნობის თარიღი : 12.04.2023

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ავლიპ ზურაბაშვილის ქუჩა, N 1გ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნათია ალექსიადის პ/ნ 01009002335
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. III კვ. კორ. 27"ბ" ბ. 6

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 11 აპრილის №6406594 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2023 წლის 11 აპრილს №AR1960359 განცხადებით მომართა ნათია ალექსიადისმა და მოითხოვა სამსახურის 2023 წლის 11 აპრილის

№6406594 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, სამსახურის 2023 წლის 11 აპრილის №6406594 ბრძანებით შეთანხმდა №01.17.13.001.404 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე არსებული შენობების (№03/1, №04/1 და №05/1) დემონტაჟის პროექტი და გაიცა დემონტაჟის ნებართვა. დემონტაჟის ვადა განისაზღვრა 2023 წლის 11 აპრილიდან 2023 წლის 11 ივლისის ჩათვლით.
წინამდებარე განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს ტექნიკური შეცდომის გასწორებას სამსახურის 2023 წლის 11 აპრილის №6406594 ბრძანებაში. კერძოდ განმარტავს, რომ აღნიშნული ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის პირველ პუნქტში №03/1, №04/1 და №05/1 შენობა-ნაგებობების დემონტაჟთან ერთად არასწორად არის მითითებული №2/1 შენობის დემონტაჟი. შესაბამისად ითხოვს, აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორებას.
დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ 2023 წლის 21 მარტს №AR1925637 განცხადებით მოთხოვნილ იქნა დემონტაჟის ნებართვის გაცემა. აღნიშნულ განცხადებაზე განმცხადებელი განმარტავდა, რომ სურდა №03/1, №04/1 და №05/1 შენობების დემონტაჟი. ასევე, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ იქნა დემონტაჟის განხორციელების კალენდარული გრაფიკი, რომელშიც მითითებულია, რომ დემონტაჟი ეხება №03/1, №04/1 და №05/1 შენობა-ნაგებობებს. სამსახურმა იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე და დააკმაყოფილა განმცხადებლის მოთხოვნა, თუმცა, სამსახურის 2023 წლის 11 აპრილის №6406594 ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის პირველ პუნქტში „არსებული №03/1, №04/1 და №05/1 შენობა-ნაგებობების დემონტაჟის“ ნაცვლად არასწორად დაფიქსირდა „არსებული №2/1; №03/1 და № 4/1 და №05/1 შენობა-ნაგებობების დემონტაჟი“.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის სამსახურის 2023 წლის 11 აპრილის №6406594 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 11 აპრილის №6406594 ბრძანებაში და აღნიშნული ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „1. შეთანხმდეს ქ. თბილისში, ავლიპ ზურაბიშვილის ქუჩა №1გ-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.17.13.001.404) არსებული №03/1, №04/1 და №05/1 შენობა-ნაგებობების დემონტაჟის პროექტი“.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 11 აპრილის №6406594 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 11 აპრილის №6406594 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.